

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ჟურნალისტიკა“

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
საქართველოს ეროვნული
უნივერსიტეტი სეუ

შეფასების თარიღ(ებ)ი

18.12.19

დასკვნის წარდგენის თარიღი

07.01.2020

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	208215509
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ჟურნალისტიკა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მიითითებით	ჟურნალისტიკის ბაკალავრი Bachelor in Journalism 0321
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240 ECTS კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტირებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლელა ფირალიშვილი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მალხაზ გაგუა, შპს ყოველდღიური გაზეთი „რეზონანსი“, რედაქტორი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიკო შარაბიძე ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლების სკოლის სასწავლო პროგრამების კოორდინატორი, განათლების ადმინისტრირების სამსახურის პროგრამის მაგისტრანტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საბაკალვრო საგანმანათლებლო პროგრამა „ჟურნალისტიკა“ მომზადდა საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. უნივერსიტეტში ეს პროგრამა მუშაობდა, თუმცა ამჟამად იგი სრულიად გადახალისებულია და წარდგენილია აკრედიტაციის მოსაპოვებლად. ჟურნალისტიკის საბაკალვრო პროგრამა ძირითად მიზნად ისახავს მოამზადოს თანამედროვე მედია სტანდარტების შესაბამისი, თეორიული ცოდნისა და პროფესიული უნარების მქონე პრაქტიკოსი ჟურნალისტი, რომელსაც განუვითარდება ჟურნალისტური ხედვა და პროფესიული აზროვნება.

დღეს, შრომის ბაზარს, რა თქმა უნდა, ესაჭიროება ჟურნალისტური სტანდარტის მქონე მედიასპეციალისტები, ჟურნალისტები, რომელთაც მედიაწარმოების პროცესში პრაქტიკული უნარ-ჩვევებიც აქვთ, გარდა ბეჭდვითი მედიის ტექნოლოგიებისა, ფლობენ აუდიო და ვიზუალური მასალის დამუშავების ტექნოლოგიებს. თანამედროვე მედიაბაზრისთვის კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური **პრაქტიკოსი ჟურნალისტების მომზადება**, რომელთაც ექნებათ სამოქალაქო ღირებულებათა ცოდნა და თანამედროვე მედიაინდუსტრიაში საქმიანობისთვის შესაბამისი პრაქტიკული დამსაქმებლისთვის შესაძლოა დამატებითი მოტივაცია გახდეს ახალგაზრდა კადრის შერჩევისას.

სრული საბაკალვრო პროგრამული კურსი გათვლილია 4 აკადემიური წელზე (8 სემესტი) და ითვალისწინებს 240 ECTS კრედიტს. აკადემიური (გაზაფხულის და შემოდგომის) სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს საშუალოდ 30 კრედიტი (30 კრედიტი = 750 სთ.), ხოლო წელიწადში - 60 კრედიტი (1500 საათი). უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია, სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს და არ აღემატებოდეს 75 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები.

პროგრამა დასრულებულად ითვლება, როცა სტუდენტი დააგროვებს არანაკლებ 240 ECTS კრედიტს, რაც გულისხმობს პროგრამით გათვალისწინებული სფეროს ძირითადი, არჩევითი და თავისუფალი კომპონენტის შესრულებას.

პროგრამა ითვალისწინებს: სპეციალობის სავალდებულო სასწავლო 20 კურსს. კურსები, ძირითადად, 6 კრედიტიანია, თუმცა არის 5 და 4 კრედიტიანი ძირითადი კურსებიც. არჩევითი კურსები წარმოდგენილია 26 სილაბუსის სახით.

პროგრამას აქვს 2 ერთიანი საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსი და სავალდებულო არჩევითი და თავისუფალი არჩევითი სასწავლო კურსები.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 18 დეკემბერს. წინასწარ შეთანხმებული დღის განრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფის წევრები შეხვდნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, პროგრამის (ჟურნალისტიკა) სტუდენტებსა და კურსამთავრებულებს. ასევე, პოტენციურ დამსაქმებლებს. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სეუ-ს ინფრასტრუქტურა, ბიბლიოთეკა და მედიაცენტრი, აუდიო კაბინეტი, ფოტოგრაფიის კაბინეტი, რომელიც ძირითად ტექნიკურ ბაზას წარმოადგენს პროგრამისთვის. ადგილზე გაეცნო ფაკულტეტის სტუდენტების მიერ გამოცემულ ჟურნალ-გაზეთებს, კონფერენციების მასალებს.

ბიბლიოთეკაში შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმა პროგრამის სილაბუსით გათვალისწინებული ლიტერატურა და საბიბლიოთეკო ბაზებთან ხელმისაწვდომობა.

ვიზიტის განმავლობაში ექსპერტთა ჯგუფმა ობიექტურად, მშვიდ და კოლეგიალურ გარემოში წარმართა მუშაობა; დასასრულს სეუ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლებს წარუდგინა პროგრამის შესახებ მოცემულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

პირველი , მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტები შესაბამისობაშია, მეორე სტანდარტი - მეტწილად შესაბამისობაში.

▪ რეკომენდაციები

- პროგრამის კურსკულუმში თეორიული მასალა მეტად გაჯერდეს პრაქტიკული ქეისებით (სტუდენტთა მოთხოვნის შესაბამისად)
- დაემატოს ლიტერატურა სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსს: „ვიზუალური თხრობა“ (მიუხედავად იმისა, რომ სილაბუსი მთლიანად აწყობილია ვიზუალური მასალის შექმნა-ანალიზზე, სასურველია, მითითებულ იქნას ლიტერატურა (ინტერნეტ რესურსი მაინც)
- განახლდეს და გამრავალფეროვნდეს ძირითადი ლიტერატურა სავალდებულო სასწავლო კურსში „მედიის კვლევის მეთოდები“
- გააქტიურდეს პროგრამის აკადემიური/მოწვეული პერსონალის ჩართვა სამეცნიერო კვლევით პროექტებში, მით უმეტეს რომ უნივერსიტეტი ამის სრულ შესაძლებლობას იძლევა.
- გაღრმავდეს ურთიერთობა პროგრამის განმახორციელებელსა და დამსაქმებლებს შორის

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის სასწავლო კურსებში (როგორც ძირითად, ასევე არჩევით საგნებში) კურსების შინაარსზე და კურიკულუმში მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით,

დამატებულ იქნას თანამედროვე, უახლეს ტენდენციებსა და მიღწევებზე დაფუძნებული შესაბამისი ლიტერატურა, მათ შორის სასწავლო მასალები (შსაძლებელია ვიდეო ლექციებიც);

- პროგრამის ხელმძღვანელმა მეტი ყურადღება მიაქციოს სხვადასხვა სასწავლო კურსში ლიტერატურის გადაფარვას, განსაკუთრებით, ძირითად საგნებში
- პროგრამის კიდევ უფრო დასახვეწად და საერთაშორისო სტანდარტებთან მისადაგებლად სასურველი იქნებოდა, უნივერსიტეტმა გარე შეფასების მექანიზმად, გარდა პროგრამების აკრედიტაცია და ავტორიზაციისა, გამოიყენოს ექსპერტებისა და მსგავსი პროფილის უცხოური უსდ-ის წარმომადგენლების შეფასების მექანიზმებიც;

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ჟურნალისტიკა“ მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ორიენტირებულია მოამზადოს თანამედროვე მედიაბაზრისთვის კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური პრაქტიკოსი ჟურნალისტები, რომელთაც ექნებათ სამოქალაქო ღირებულებებზე დაფუძნებული ცოდნა და თანამედროვე მედიაინდუსტრიაში საქმიანობისთვის შესაბამისი პრაქტიკული უნარები, მუშაობისას დაეყრდნობიან პროფესიულ სტანდარტებს.

ჟურნალისტს უნდა შეეძლოს მედია ინფორმაციის სიზუსტის დაცვა, დაბალანსება, გადამოწმების საშუალებებისა და მეთოდების ცოდნა, თანამედროვეობის აქტუალური პრობლემების ჟურნალისტურ ფაქტად გადაქცევა, მედია ტექსტის შექმნა და ინფორმაციის სხვადასხვა პლატფორმით გაშუქება პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, მიღწევადია და ასახავს იმ ცოდნასა და უნარებს, რაც პროგრამის ფარგლებში გამოუმუშავდებათ კურსდამთავრებულებს: კერძოდ, ჟურნალისტს უნდა შეეძლოს დაიცვას თავისუფალი სიტყვის პრინციპები; პროფესიულ საქმიანობას აფასებს და ახორციელებს ეთიკური და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად; მოიპოვოს, დაახარისხოს და ობიექტურად განაზოგადოს ინფორმაცია, გააცნობიეროს სიზუსტის დაცვისა და ინფორმაციის გადამოწმების მნიშვნელობა; ფოკუსირდეს ინფორმაციული საბაზის მქონე ფაქტებზე, აქტუალური პრობლემების ჟურნალისტურ ფაქტად წარმოჩენაზე.

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ტენდენციებს; უსდ-ს მიერ ჩატარებულმა დასაქმების ბაზრის კვლევამ და პოტენციურ დამსაქმებლებთან ინტერვიუმ აჩვენა ამ სფეროს მაღალკვალიფიციურ კურსდამთავრებულთა საჭიროება. პროგრამის მიზანი გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის პროცესის ეფექტიანი წარმოებისათვის სეუ-ს აქვს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომლის ფარგლებში გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობითი ხელშეკრულებები ნიდერლანდის „ახალ ევროპულ უნივერსიტეტთან“. ირლანდიის კარლოუს

უნივერსიტეტთან, ბულგარეთის უმაღლეს ინტერნაციონალურ ბიზნეს სკოლასთან, ლიტვის კლაიპედას სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ნოვოსიბირსკის ტექნიკურ უნივერსიტეტთან, პორტუგალიის ტექნიკურ უნივერსიტეტთან რიგის ბიზნესსკოლასთან, ასევე რიგის რისების ბიზნეს, სახელოვნებო და ტექნიკურ უნივერსიტეტთან, მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტთან. ჯურნალისტიკის ფაკულტეტი თანამშრომლობს ოთხ უნივერსიტეტთან: ტურიზას უნივერსიტეტი (ლატვია), რისებას უნივერსიტეტი (ლატვია), ბრაგანცას პოლიტექნიკური ინსტიტუტი (პორტუგალია), გლდანსკის უნივერსიტეტი (პოლონეთი). ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, ასევე, პროგრამის განხორციელების დონეზე გამოიხატება სასწავლო კურსების უცხო ენაზე შეთავაზებით, უცხოელი პროფესორების მოწვევით და უცხოურ პარტნიორ უნივერსიტეტებში სტუდენტებისთვის გაცვლითი სემესტრის შეთავაზებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ პროგრამის მიზნები; ▪ საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ თვითშეფასების ანგარიში; ▪ სეუ -ს მისია, სტრატეგიული განვითარების გეგმა; ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია(მათ შორის პროგრამის); ▪ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; ▪ უნივერსიტეტის ვებგვერდი http://www.seu.edu.ge. ▪ ინტერვიუს შედეგები ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან; თვითშეფასების ჯგუფთან .
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. ➤ ზოგადად, პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიერ განსაზღვრულ, მე-6 დონის ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობა/ავტონომიურობას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან. პსშ მოიცავს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნასა და უნარებსა და პასუხისმგებლობებს. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-6 დონის ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობა-ავტონომიურობას. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში შემავალი სასწავლო კურსების ერთობლიობა და თემატური სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. პროგრამის სტრუქტურაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსებში მკაფიოდ არის

გამიჯნული თითოეული საგნის, სასწავლო დისციპლინის მიზანი და სწავლის შედეგები, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს ცოდნის, პრაქტიკული უნარებისა და პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის მკაფიოდ გამიჯვნას.

ცოდნა, უნარები, ავტონომიურობა-პასუხისმგებლობა

განსაზღვრავს ჟურნალისტის პროფესიული საქმიანობის სპეციფიკას, აყალიბებს ჟურნალისტიკის ძირითად ცნებებს და ტერმინოლოგიას, ჟურნალისტიკის პრინციპებს, ფუნქციებს, აცნობიერებს სამოქალაქო ღირებულებებს და ეყრდნობა პროფესიულ სტანდარტებს;

აცნობიერებს ქართული პუბლიცისტური აზროვნების განვითარების გზას, იყენებს თანამედროვე/ისტორიული მედიის და მედიაპროცესების კვლევის მეთოდებს ეფექტური ანალიზისთვის.

მოიპოვებს, ახარისხებს და ობიექტურად განაზოგადებს ინფორმაციას, აცნობიერებს სიზუსტის დაცვისა და ინფორმაციის გადამოწმების მნიშვნელობას; ფოკუსირებას ახდენს ინფორმაციული საბაზის მქონე ფაქტებზე, აქტუალური პრობლემების ჟურნალისტურ ფაქტად წარმოჩენაზე,

აშუქებს ინფორმაციას სხვადასხვა პლატფორმით – ქმნის მულტიმედია პროდუქტს.

ფლობს პრაქტიკოსი ჟურნალისტისთვის აუცილებელი პროფესიული წერისა და ზეპირი მეტყველების კულტურას; განსაზღვრავს ინფორმაციის აქტუალობას, მიჯნავს ფაქტსა და მოსაზრებას;

აგებს მედია-ტექსტს პროფესიული ამოცანების შესაბამისად – ფაქტის, არგუმენტის, პრობლემის შეკავშირება; აყალიბებს პროცესების შესატყვის ანალიზსა და არგუმენტირებულ დასკვნას, ადგენს აქტუალური საკითხების გადაჭრის პრაქტიკულ გზებს;

ფლობს რესპონდენტთან ეთიკური ურთიერთობის, წყაროსთან მუშაობის უნარ-ჩვევებს. ტელე- რადიო ჟურნალისტისთვის საჭირო პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს: შეუძლია სტილისტურად გამართულად საუბარი (წერა), აქვს შეუძლია ტელეკამერებთან მუშაობა, ეთერში მაყურებელთან კომუნიკაცია, სამონტაჟო პროგრამებით ტელე-რადიოპროდუქტის შექმნა.

აქვს დებატების, დასაბუთებული დასკვნების გამოტანის, თავისუფალი კომუნიკაციის, მასალის წარდგენის, ნებისმიერ სიტუაციაში ადაპტაციის, იმპროვიზაციის, ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნების უნარები;

აცნობიერებს ფოტოჟურნალისტიკის სახელოვნებო ასპექტებს და მედიატექსტის ვიზუალიზების პერპექტივებს. შეუძლია ფოტოს მეშვეობით ჟურნალისტური პროდუქტის შექმნა, აქვს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სხვადასხვა შინაარსის ჟურნალისტური მასალის ვიზუალიზაციის უნარი.

პროგრამის შემუშავებელმა ჯგუფმა შედეგების ფორმირებისას გაითვალისწინა მედიის კვლევის, მასობრივი კომუნიკაციისა და მულტიმედიური ჟურნალისტიკის

თემატიკა; სასწავლო მეთოდოლოგია; შეფასების სისტემა; მატერიალური და ადამიანური რესურსი; პროგრამის სწავლის შედეგების რუკა ლოგიკურია და ითვალისწინებს სასწავლო კურსების კავშირს სწავლის შედეგებთან

პროგრამის შედეგები ითვალისწინებს დასაქმებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს აქვს თანამედროვე მედია თეორიების საფუძვლიანი ცოდნა; ასევე, ფლობს ჟურნალისტიკისთვის საჭირო სისტემურ ცოდნას და პროფესიულ უნარებს; ამასთან აქვს საკმარისი კომპეტენცია იმისათვის, რომ სრულფასოვნად ჩაერთოს ტრადიციული და ახალი მედიასაშუალებების - გაზეთის, ჟურნალის, რადიოს, ტელევიზიის, ინტერნეტგამოცემის და სხვ. მუშაობის პროცესში. მიღებული ცოდნის საფუძველზე ბაკალავრს შეუძლია განათლების შემდეგ სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელება.

საგანმანათლებლო პროგრამას განსაზღვრული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების (პსშ) შეფასების მექანიზმი. პსშ შემუშავებულია დარგობრივი მახასიათებლისა და ჟურნალისტიკის მომავალი ბაკალავრისთვის ჟურნალისტიკის სფეროს აუცილებელი კომპეტენციების გათვალისწინებით. პსშ წარმოადგენს ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რაც ექნება ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს.

სწავლის შედეგების შეფასებისათვის პროგრამა იყენებს სწავლის შედეგების პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტებია: სასწავლო და პრაქტიკული კომპონენტების შუალედური და დასკვნითი შეფასებები. სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვა და ფოკუს-ჯგუფებთან შეხვედრები, ასევე, შეხვედრები დაინტერესებულ პირებთან.

სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ. პროგრამას შემუშავებული აქვს კურიკულუმის რუკა; პროგრამის სწავლის შედეგების (პსშ) შეფასების გეგმა, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის დებულება; სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც ასახულია თუ რომელი სასწავლო კურსის ფორმატში ხდება პროგრამის სწავლის თითოეული შედეგის რეალიზება. შედეგები რანჟირებულია:

- საბაზისო ცოდნა;
- განმავითარებელი ცოდნა;
- კომპლექსური ცოდნა.

პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებელი კონკრეტული გეგმა და გრაფიკი, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში დეტალურადაა გაწერილი. პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული კურსის სწავლის შედეგისათვის.

პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს, რაც დასტურდება ინტერვიუს სესიებით. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

პროგრამა განახლებულია, შესაბამისად, ჯერ ვერ მოხდებოდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მონაცემების შედარება. თუმცა ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა აგებული იყო სპეციალობის სავალდებულო, არჩევითი დათავისუფალი/დამატებითი პროგრამა კომპონენტებისაგან. წინა პროგრამაში გათვალისწინებული იყო სპეციალობის სავალდებულო 120 კრედიტი და არჩევითი 15 კრედიტი. ექსპერტთა რეკომენდაციით სასურველი იყო არჩევითი სასწავლო კურსების წილის გაზრდა, პროგრამაში უკვე გათვალისწინებულია პირად ინტერვიებსა და თვითშეფასების ჯგუფთან შეხვედრაზე ცალსახად გამოჩნდა, რომ სწავლის შედეგების შეფასება მოხდა წინა აკრედიტაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით. ამას ადასტურებს განახლებული არჩევითი საგნების დიდი ასევე, მედიალაბორატორიის განახლება და აღჭურვა უახლესი ტექნოლოგიური დანადგარებით და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები ▪ საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ▪ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ▪ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტი ▪ განხორციელებული შეფასების შედეგები ▪ უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა/დამსაქმებელთა/პერსონალის ფორმები, გამოკითხვის შედეგები და მათი გამოყენება' გამოკითხვის
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	V			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას; გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, განთვასებულია ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის; ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, პრაქტიკული უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირების პროგრამაზე სწავლება -სწავლის ჩართვას. ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტი (ატესტატი) ან მასთან გათანაბრებული და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს აღნიშნულ პროგრამაზე და და გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას სეუ-ში. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლას ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე სეუ მიიჩნებს დასაშვებად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კერძოდ. ეროვნულ იგამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვა ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის ბრძანება № 224/ნ ის მიხედვით მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვა ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამაზე სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან / პროგრამიდან მობილობის წესით გადმოსულ სტუდენტთა მიღება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად. ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამაზე მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის დაწესებულების სტუდენტი. მობილობის უფლება აქვს ასევე პირს, რომელსაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი ან სტატუსშეწყვეტილ პირს, სტატუსის შეწყვეტიდან 12 თვის განმავლობაში.

სეუ-ში პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირებისათვის, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით. http://www.seu.edu.ge.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➤ “ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ➤ თვითშეფასების ანგარიში; ➤ საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის დებულება; ➤ უნივერსიტეტის ვებგვერდი http://www.seu.edu.ge ➤ ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა „ჟურნალისტიკა“ შედგენილია სეუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს: დასაქმების ბაზრის კვლევას; დაინტერესებული მხარეების გასაზღვრას და სამუშაო ჯგუფის დაკომპლექტებას; პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრას; SWOT ანალიზს; პროგრამის განვითარების გეგმას; პროგრამის განხორციელების პროცესის შესაბამისობას პერიოდული შედეგების პროგრამის მიზნებსა და სტრატეგიებთან.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. კერძოდ, ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები შეადგენს 156 კრედიტს (116 - სავალდებულო, 40 - სპეციალობის არჩევითი). დანარჩენი კრედიტების განაწილება ასეთია: თავისუფალი სავალდებულო - 12, თავისუფალი სავალდებულო/არჩევითი - 30, თავისუფალი არჩევითი - 42). საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში - 60 კრედიტს, სემესტრში - 30 კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 4 წელს ანუ 8 სემესტრს შეადგენს. საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტის მიერ არანაკლებ 240 კრედიტის მოგროვებას. ძირითადად, სტუდენტებისთვის შეთავაზებულია 4, 5 და 6 კრედიტიანი კურსები.

უფრო დეტალურად, 240 ECTS კრედიტის დაგროვება 6000 ასტრონომიულ საათს უტოლდება. ერთი კრედიტი (ECTS) უტოლდება სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25 საათის განმავლობაში და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს.

კრედიტის გაანგარიშებისას არ არის გათვალისწინებული დამატებითი გამოცდისთვის (მომზადება, ჩაბარება, შეფასება) განსაზღვრული დრო, აგრეთვე საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელ პირთან საკონსულტაციო დრო.

აკადემიური (გაზაფხულის და შემოდგომის) სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს საშუალოდ 30 კრედიტი (30 კრედიტი = 750 სთ.), ხოლო წელიწადში - 60 კრედიტი (1500 საათი),

სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. როგორც პირველი (შემოდგომის), ასევე მეორე (გაზაფხულის) სემესტრის ხანგრძლივობა მოიცავს 19 კალენდარულ კვირას, შესაბამისად სასწავლო წელი დაგეგმილია 38 კვირაზე.

პროგრამა ითვალისწინებს :

- (A) სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - **116 ECTS**
- (B) საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები **12 ECTS**
- (C) სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - **40 ECTS**
- (D) სავალდებულო არჩევითი კურსები **30 ECTS**
- (E) თავისუფალი სასწავლო კურსები **42 ECTS**

სულ 240 ECTS

საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე უზრუნველყოფილია თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში არჩევითობა.

საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს არჩევითი საგნების მართლაც საკმაოდ დიდი არჩევანი აქვთ.

პროგრამა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

პროგრამაში შემავალი სასწავლო და პრაქტიკული კომპონენტები ძირითადად თანმიმდევრულად , ლოგიკურადაა დალაგებული და უზრუნველყოფს ცოდნის გამდიდრებას მეთოდურად,ოთხი წლის განმავლობაში. საგნების შეთავაზება სემესტრულად ლოგიკურია და ითვალისწინებს წინა სალექციო კურსებზე მიღწეულ შედეგებს.

ლოგიკურია, პრაქტიკული საზრისის მქონე ძირითადი თუ არჩევითი საგნების შეთავაზების თანმიმდევრულობაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- სეუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;

▪ პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები; ▪ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; ▪ ინტერვიუს შედეგები კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან; აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
რეკომენდაციები: • სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსს „ვიზუალური ნარატივი“ დაემატოს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის სია. საგანი „ვიზუალური ნარატივი“ მართლაც ძალზე საჭირო სასწავლო მასალაა მომავალი ჟურნალისტისთვის, მით უფრო, ვიზუალური კომუნიკაციების ეპოქაში. ამდენად, მასალაც რომელიც სტუდენტს ეძლევა სასწავლო კურსში მუდმივად განახლებადი უნდა იყოს. სილაბუსი მთლიანად აწყობილია ვიზუალური მასალის შექმნა-ანალიზზე, სადაც თითქმის გამორიცხულია ის თეორიული ტექსტები, რომელსაც უნდა დაეყრდნოს როგორც პედაგოგი, ასევე სტუდენტი. ზემოთ მითითებული მიზეზის გამო, შესაძლოა, მართლაც მწირია თეორიული რეფლექსია ამ თემებზე, მაგრამ მოძიებადია, განსაკუთრებით ინტერნეტ-რესურსით. ამითომ სასურველია, მითითებულ იქნას ლიტერატურა ინტერნეტ რესურსით მაინც • განახლდეს და გამრავალფეროვნდეს ძირითადი ლიტერატურა სავალდებულო სასწავლო კურსში „მედიის კვლევის მეთოდები“. მედიის როლის ზრდისა და მედიაპლატფორმების გამრავალფეროვნებისა მათზე რეფლექსიის კვალდაკვალ სასურველია, სავალდებულო ლიტერატურას დაემატოს კვლევების უახლესი მეთოდოლოგიური ლიტერატურა. • პროგრამის კურსკულუმში თეორიული მასალა მეტად გაჯერდეს პრაქტიკული ქეისებით (სტუდენტთა მოთხოვნის შესაბამისად)
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება „ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგების სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუქით.

პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსები ძირითადად 5 ან 6 კრედიტია. თუმცა, საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები, ასევე, სტუდენტის სასწავლო დატვირთვა განსხვავებულია დისციპლინების სპეციფიკურობიდან გამომდინარე. სასწავლო კურსის ფარგლებში გამოსაყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები რელევანტურია.

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი დრო) უზრუნველყოფს მათი სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა გამოთვლილია მისი სპეციფიკის, თავისებურებებისა და სტუდენტთა დატვირთვის მოცულობის გათვალისწინებით.

პროგრამის სასწავლო კურსებში თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება შეფასების ადექვატური სისტემით.

სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამით სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა სასწავლო კურსებში: „ვიზუალური ნატატივი“, მიუხედავად სასწავლო კურსის აქტუალობისა, საჭიროებს მასალის ძირითადი და დამატებითი ლიტერატურით გამყარებას. ლიტერატურა, ძირითადად, თანამედროვეა თუმცა რამდენიმე სილაბუსში არის ლიტერატურის გადაფარვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➤ საგანმანათლებლო პროგრამა; ➤ სილაბუსები; ➤ ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
რეკომენდაციები: ▪ დამატოს ლიტერატურა სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსში: „ვიზუალური ნატატივი“
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის პროგრამის განვითარებისთვის, სასურველია, პროგრამის სასწავლო კურსებში (როგორც ძირითად, ასევე არჩევით საგნებში) კურსების შინაარსზე და კურიკულუმში მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კიდევ იქნას დამატებულ თანამედროვე, უახლეს ტენდენციებსა და მიღწევებზე დაფუძნებული უახლესი ლიტერატურა მათ შორის სასწავლო მასალები (შესაძლებელია ვიდეო ლექციებიც. მით უმეტეს, რომ სასწავლო პროგრამის ინფრასტრუქტურული ბაზა ამ მხრივ ყველა შესაძლებლობას იძლევა).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად პროგრამის კურსკულუმი და ცალკეული დისციპლინების სილაბუსები ითვალისწინებს სტუდენტებისათვის პრაქტიკული, უნარების განვითარებისათვის საჭირო აქტივობებს. პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკის კომპონენტი ხორციელდება ე. წ. შერეული მოდელით -ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო სასწავლო პროგრამის სავალდებლო და არჩევით სასწავლო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკით ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო სასწავლო პროგრამის სტუდენტების უმრავლესობა პრაქტიკულ ჩვევებს სტაჟირების პრაქტიკებზეც ეუფლება

სტუდენტებისთვის სასწავლებლის გარეთ დანერგილი გარე სტაჟირება საბოლოოდ კრავს და ამთლიანებს იმ ცოდნას, უნარებსა და გამოცდილებას, რომელსაც სტუდენტი დაეუფლა თეორიული კურსებისა და კურსებში ჩაშენებული პრაქტიკის გავლის პერიოდში.

მულტიმედიურ სფეროში პროფესიულ უნარების ათვისებას ჟურნალისტიკის სტუდენტები შესძლებენ სეუ-ს მედია-ლაბორატორიულ ცენტრში, რომელიც უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის პროგრამის სტუდენტებისთვის დახელოვნების ძირითადი ბაზაა და მუდმივ სასწავლო რეჟიმში მუშაობს. სტუდენტებს ექნებათ მოსამზადებელი სხვადასხვა ჟანრისა და ფორმის ჟურნალისტური მასალები-წერილობითი, აუდიალური, ფოტო, რომლებიც აისახება სეუ-ს ვებგვერდზე, უნივერსიტეტის პარტნიორი მედია ორგანიზაციების ეთერში და პერიოდულ გამოცემათა ფურცლებზე. სწავლის პერიოდში სტუდენტის მიერ მომზადებული მედია პროდუქცია საფუძველი და მოტივაცია იქნება დამსაქმებლისთვის.

თვითშეფასების ჯგუფისა და პოტენციურ დამსაქმებლებთან ინტერვიუს სესიებით დასტურდება, რომ პროგრამას ჰყავს პერსპექტიული დამსაქმებლები, რომლებიც მზად არიან გრძელვადიან პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოებში

ითანამშრომლონ უნივერსიტეტთან. პროგრამის გავითარებისთვის სასურველი იქნება პროგრამის ფარგლებში მოექცეს პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსი, რომლის ერთ-ერთ ბაზად შეთავაზებული იყოს პოტენციური დამსაქმებელი ორგანიზაცია სტუდენტებისთვის სტაჟირების გასავლელად. ეს ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს სტუდენტების უშუალოდ პროფესიულ გარემოში ადაპტირებას, მეორე მხრივ კი, მათ სამომავლო დასაქმებას. ამასთან, ყოველ წელს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში იმართება ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა სტუდენტთა კონფერენციები.

უნივერსიტეტის პოლიტიკით ხელშეწყობილია უნივერსიტეტის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის კურიკულუმ გარე კვლევითი მუშაობაც. სტუდენტების კვლევით საქმიანობას, ასევე, უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ორგანიზებული სტუდენტური კონფერენცია, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს წარმოადგინონ თავიანთი სამეცნიერო ნაშრომი პრეზენტაციის სახით, წინასწარ განსაზღვრული სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში სტატია განთავსებენ საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს საკონფერენციო ნაშრომების კრებულში. საუნივერსიტეტო დაფინანსების სისტემით საუნივერსიტეტო სტიპენდიის მიღების წინაპირობაა კვლევითი სახის საკონფერენციო ნაშრომის შემუშავება.

აკადემიური კორპუსის შეფასებისას, მხედველობაში მიიღება სტუდენტების კვლევითი საქმიანობის ხელმძღვანელობის პრაქტიკა. საუნივერსიტეტო კვლევითი კონფერენციები სემესტრში ერთხელ იმართება. კვლევითი საქმიანობა ხელშეწყობილია ასევე სტუდენტური კლუბებისა და სხვადასხვა კვლევითი კონკურსებით,

უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის დონეზე.

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო გრანტის მიღების პირობები ითვალისწინებს კვლევით აქტივობაში უნივერსიტეტის სტუდენტთა ჩართვასაც.

სტუდენტები კვლევით გამოცდილებას იძენენ სტუდენტური კონფერენციებისა და პროექტების მომზადებისა და მონაწილეობის პროცესში.

ასევე, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ნაწილი თავად საქმიანობს კვლევის მიმართულებით და სტუდენტების ჩართულობა მათ მუშაობაში მიღებული პრაქტიკაა

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- სილაბუსი
- სტუდენტური კონფერენციები და დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ფოტომასალა;
- მედია ლაბორატორიის ვიზუალური დათვალიერება;
- შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები პერსპექტიულ დამსაქმებლებთან ;
- ინტერვიუს შედეგები პროგრამის და მედიალაბორატორიის პედაგოგებთან, პრაქტიკის ხელმძღვანელთან.

რეკომენდაციები: ■
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, სტაჟირების ან პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსის შეთავაზება პარტიორ მედია ორგანიაციებშიც, რაც ხელს შეუწყობს როგორც სტუდენტების უშუალოდ პროფესიულ გარემოში ადაპტირებას, ისე მათ დასაქმებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სააგანმანათლებლო პროგრამის თითოეული საწავლო კურსის სილაბუსში დეტალურადაა გაწერილი სწავლება-სწავლის ფორმები და მეთოდები, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის საფეხურთან და კურსის შინაარსთან, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები როგორც ლექციებითა და ჯგუფში მუშაობით, ასევე, პრაქტიკული მეცადინეობებით ხორციელდება.

პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლების პროცესში რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა

შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით. ლექტორს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ასევე, ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. სწავლების პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებს. მათგან საჭირო მეთოდს, კონკრეტული მიზნიდან და ამოცანიდან გამომდინარე, ირჩევს ლექტორი.

პროგრამა იყენებს სწავლისა და სწავლების შემდეგ მეთოდებს:

- ლექციური სწავლება
- ჯგუფური (collaborative) მუშაობის მეთოდით სწავლება
- დამოუკიდებელი მუშაობა
- ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდს წიგნზე მუშაობის მეთოდი დამოუკიდებლად მიცემული საკითხავი მასალის გაცნობა, დამუშავება და ანალიზი.
- წერითი მუშაობის მეთოდი
- პრაქტიკული მეთოდები
- დისკუსია/დებატები
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)
- თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება -
- შემთხვევის ანალიზი (Case study) -
- გონებრივი იერიში (Brain storming)
- პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა.
- დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა.
- როლური და სიტუაციური თამაშები
- დემონსტრირების მეთოდი
- ინდუქციური მეთოდი
- დედუქციური მეთოდი
- ანალიზის მეთოდი
- სინთეზის მეთოდი
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება
- ევრისტიკული მეთოდი

• ლაბორატორიული მეცადინეობა • პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია • ელექტრონული სწავლება (E-learning) – • საბაკალავრო ნაშრომი • პროფესიული პრაქტიკა სილაბუსებით და ინტერვიუებით დასტურდება, რომ სწავლების პროცესში შესაძლებელია ამა თუ იმ მეთოდისთვის პრიორიტეტის მინიჭება სასწავლო კურსის სპეციფიკიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე, რადგან სწავლებისას გამოყენებული მეთოდების შერჩევა მიმართულია სწავლების აქტიუზებაზე, შემეცნებითი საქმიანობის განვითარებაზე და სტიმულირებაზე, სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობაზე. ინტერვიუებზე პედაგოგებთან და სტუდენტებთან დასტურდება სწალა-სწავლების კომპლექსური სწავლების გამოყენება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ საგანმანათლებლო პროგრამა ▪ სილაბუსები ▪ სწავლება-სწავლის მეთოდები ▪ ინტერვიუს სედეგები აკად/მოწვეულ პერსონალთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განხორციელებისა და სასწავლო დისციპლინების სწავლებისას, თითოეულ დისციპლინაში სტუდენტის მოსწრება ფასდება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემისა (ECTS) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესაბამისი შეფასების სისტემით.

ცოდნის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ და გამჭვირვალეა. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია სასწავლო კურსის სილაბუსებში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის. თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შეფასების კომპონენტების შინაარსი და მეთოდები განსხვავებულია და შეესაბამება კურსის შედეგებს.

უნივერსიტეტში დანერგილია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა seu.ini.ge, რომელიც განკუთვნილია სტუდენტთა ყოველკვირეული შეფასებისთვის; ლექტორის მიერ სასწავლო პროცესის წარმართვის მონიტორინგისთვის; სტუდენტთა შეფასების გამჭვირვალობის უზრუნველყოფისთვის; სტუდენტთა და ლექტორთა ინფორმირებისთვის სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. შეფასებათა უწყისში სტუდენტთა ყოველკვირეული შეფასების გარდა აისახება პრეზენტაციების, შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების შედეგებიც.

სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა ავტომატურად ახდენს სტუდენტის მიმდინარე აკადემიური მოსწრების ქულათა დაჯამებას, მათ დასკვნით და განმეორებით

გამოცდებზე დაშვებას და საბოლოო შეფასების გამოყვანას. შეფასების უწყისი ასახავს თითოეული სტუდენტის ყველა შეფასებას, რომელიც მან დაიმსახურა სემესტრის განმავლობაში.

ნებისმიერ სტუდენტს, სისტემაში შესასვლელი სახელითა და პაროლით შეუძლია საკუთარ ელექტრონულ გვერდზე შესვლა და თავის შეფასებათა ნახვა.

შეფასების კომპონენტების გადანაწილება ამგვარია:

მაქსიმალური 100 ქულის გადანაწილება და თითოეული კომპონენტის ხვედრითი წილი შემდეგნაირია:

შუალედური შეფასება - 70 ქულა

მათ შორის:

აქტივობა - 52 ქულა,

შუალედური გამოცდა - 18 ქულა

დასკვნითი გამოცდა - 30 ქულა

სტუდენტის აქტივობაში იგულისხმება სემესტრის განმავლობაში სტუდენტის მიერ შესრულებული ყველა აქტივობა და მონაწილეობა, რაც კონკრეტული საგნის სილაბუსით არის განსაზღვრული (სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკულ თუ ლაბორატორიულ მეცადინეობაზე აქტიურობა, პრეზენტაციების შესრულება, დისკუსიებში მონაწილეობა, საშინაო დავალებებისა და პრაქტიკული სავარჯიშოების შესრულება, ესსეს წერა და სხვ. აქტივობები).

ცალკეული კომპონენტის შეფასების ინდივიდუალური კრიტერიუმები საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო მოცულობაში (100 ქულა) გააჩნია შემდეგი ხვედრითი წილი: შუალედური შეფასება - 70 % და დასკვნითი შეფასება - 30%. შეფასების თითოეულ ფორმას გააჩნია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომლის გადალახვა აუცილებელია აღნიშნულ შეფასებაში დადებითი შედეგის დაფიქსირებისთვის. შუალედური შეფასებისა და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შედაგენს 30-30%-ს. შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით. შეფასების კრიტერიუმები საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს ნებისმიერი შეფასება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის საშუალებით. სტუდენტი ელექტრონული კანცელარიის მეშვეობით აგზავნის განცხადება/საჩივარს, რომელსაც განიხილავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან. როგორც სტუდენტებთან ინტერვიუებით გაირკვა, საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები ხორციელდება გაწერილი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ჟურნალისტიკის სასწავლო კურსების სილაბუსები.

○ სეუ- ს დებულება ○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ/ მოწვეულ პერსონალთან .
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ სტუდენტთა უნივერსიტეტთან ურთიერთობა რეგულირებულია უნივერსიტეტის დონეზე შესაბამისი დოკუმენტებით. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განსაზღვრავს სტუდენტთა უფლებებს და მოვალეობებს სწავლა-სწავლების პროცესში. უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში ვიზიტის დროს განხორციელებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით ჩანს, რომ მოცემული სტანდარტის კომპონენტი შესაბამისობასაა მოთხოვნებთან. ინტერვიუებში მონაწილეობდნენ სტუდენტები და კურსდამთავრებულები. მათ დაადასტურეს, რომ სტუდენტები და კურსდამთავრებულები პროგრამის შემუშავების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები, შესაბამისად მათგან მიღებული რჩევები და რეკომენდაციები პროგრამის განვითარებაში ასახულია, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინიცირებით პრაქტიკის კომპონენტი გაძლიერდა, დამატა სხვადასხვა კურსები: ეკონომიკა, სპორტის ჟურნალისტიკა, მონაცემთა ჟურნალისტიკა და სხვა.

ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სტუდენტებსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შორის კომუნიკაცია ძალიან მარტივად ხორციელდება. ადმინისტრაცია ცდილობს სტუდენტებს დახმარება გაუწიოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხების მოგვარებაში, უნივერსიტეტში მოქმედებს შიდა ელექტრონული სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს სემესტრის დასაწყისიდან, მისი მსვლელობისას და დასრულების შემდეგ თვალი ადევნოს მის აკადემიურ მოსწრებას და გაეცნოს კურსების სილაბუსებს. უნივერსიტეტი სტუდენტებს თავაზობს მთლიანად მათზე მორგებულ სასწავლო განრიგს.

უნივერსიტეტის შიდა ელექტრონული სისტემის მეშვეობით, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გამოცდები და შუალედური გამოცდები სხვადასხვა ქალაქებში ჩააბარონ. საქართველოს რამდენიმე დიდ ქალაქში არის საგამოცდო ცენტრები, რომელთაგანაც სეუ თანამშრომლობს და სწორედ ამ საგამოცდო ცენტრების ბაზაზე, ონლაინ გამოცდების ჩაბარება შესაძლებელია ყველა მსურველისათვის. სტუდენტი თავად ირჩევს რეგიონს, ქალაქს, გამოცდის თარიღსა და დროს. ზემოაღნიშნული საუკეთესო პრაქტიკაა სტუდენტების მხარდაჭერის კუთხით. პროგრამის ხელმძღვანელი და მთლიანად ადმინისტრაცია აქტიურად არის ჩართული სასწავლო პროცესის მართვაში და საჭიროების

შემთხვევაში ინდივიდუალურად ეხმარება თითოეულ სტუდენტს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტაში. სტუდენტებმა ასევე დაადასტურეს, რომ აკადემიური პერსონალი კურსის დასაწყისში დეტალურად აცნობს მათ სასწავლო კურსის სილაბუსს, სწავლის მიზნებს, შედეგებს, შინაარსს, შეფასების სისტემას. მათ იცინ, რომ აქვთ საკონსულტაციო საათით სარგებლობის უფლება, და ისინი ხშირად იყენებენ აღნიშნულ მექანიზმს. უნივერსიტეტის სპეციალური სამსახური, სტუდენტებს პერიოდულად სთავაზობს სხვადასხვა ვაკანსიებს მეილზე შეტყობინებების სახით. ასევე სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სახის ტრენინგებში , რომელიც უმეტეს წილად ორგანიზებულია სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრის მიერ , თუმცა გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობა ამ შესაძლებლობებს არ იყენებს. ასევე ინტერვიუების დროს გამოიკვეთა , რომ სტუდენტები ნაკლებად არიან დაინტერესებული ი გაცვლითი პროგრამებით, თუმცა ინფორმაციას აღნიშნული შესაძლებლობის შესახებ ფლობენ. ზოგადად, სტუდენტები აღნიშნავენ რომ უნივერსიტეტში და კერძოდ, ჟურნალისტიკის საბაკალვრო პროგრამის ფარგლებში შექმნილია სტუდენტებისადმი უაღრესად კეთილგანწყობილი გარემო. უნივერსიტეტის რეპუტაცია და აკადემიური პერსონალის დამოკიდებულება, მათ დაასახელეს როგორც გადამწყვეტი ფაქტორი უნივერსიტეტის შერჩევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა seu.ini.ge; ▪ დაგეგმილი და განხორციელებული საკონსულტაციო მომსახურებები; ▪ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირთა დატვირთვა, ფუნქცია-მოვალეობები და მათი სამუშაო აღწერილობები; ▪ დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები; ▪ უსდ-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის •
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ▪ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ▪ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ▪ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ▪ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი ➤ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➤ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➤ პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➤ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სეუ-ში მოქმედებს პერსონალის მართვისა პოლიტიკის და ეფექტიანობის ერთიანი წესი, რომელიც ადგენს მაღალკვალიფიციური და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნების მექანიზმებს.

საგანმანათლებლოს პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი (სულ უნივერსიტეტში დასაქმებული (21) და მოწვეული (22) პირები: 21 პროფესორ-მასწავლებელიდან 3 პროფესორი, 11 ასოცირებული პროფესორი, 7 ასისტენტ-პროფესორი

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების მიხედვით პროგრამაში ჩართულ პირებს აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; მათი კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვებიან უნივერსიტეტის აკადემიური და სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციის მქონე მოწვეული პედაგოგები (ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაციას გვამღებს თანდართულ სილაბუსებში).

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და მათი დატვირთვა თანხვედრაშია პროგრამის ფარგლებში შემუშავებულ აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიურ მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებას. აკადემიურ/ სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი (21/22) უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

პროგრამის ხელმძღვანელი, გარდა აკადემიურ სივრცეში საქმიანობისა, პრაქტიკულ საქმიანობასაც აქტიურად ეწევა, მას გარდა პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი თეორიული ცოდნისა, აქვს პრაქტიკული გამოცდილება და, შესაბამისად, უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;

პერსონალის რიგ წევრებთან გასუბრებით დასტურდება, რომ აკადემიური/მოწვეული პერსონალი ენთუზიაზმით ზრუნავს საგნებზე, რომლთაც ასწავლიან. გაცნობიერებული აქვთ სხვადასხვა მიდგომები სწავლისადმი და ხელს უწყობს პროგრამის განხორციელებას. ინტერვიუს სესია მოიცავდა აკადემიური პერსონალის ჩართულობის საკითხებს

პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში; შეფასების სისტემას; სამეცნიერო კომპონენტს, სწავლების მეთოდებს და სხვ. ამგვარად, ინტერვიუს სესიისა და CV-ების თანახმად, უნივერსიტეტი პროგრამას უზრუნველყოფს კომპეტენტური კვალიფიციური და გამოცდილი აკადემიური პერსონალით.

სეუ-ს დებულების თანახმად, საბაკალავრო თემის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალი ან საგანმანათლებლო პროგრამაში მოწვეული პირი, რომელსაც აქვს ჟურნალისტურ თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში საქმიანობის გამოცდილება

პროგრამის სტუდენტები, გარდა აკადემიური პერსონალისა, უზრუნველყოფილები არიან შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. სეუ-ში მუშაობს ცხელი ხაზიც

პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან, ჟურნალისტიკის დარგის სტუდენტებთან, ადმინისტრაციასა და დამხმარე პერსონალთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ სასწავლო პროცესი ერთიანი მუშა რეჟიმია, რომელიც სრულიად ორგანიზებულად მიმართულია აკადემიურ შედეგზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- სეუ-ს დებულება ;
- საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობათა დაკავების წესი
- პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა;
- პერსონალის მართვის პოლიტიკის და ეფექტიანობის ერთიანი წესი;
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები;
- აკადემიური/ მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულება, CV;
- სამეცნიერო და მოწვეული პერსონალთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის მართვის სამსახრის ხელმძღვანელთან, სამეცნიერო კვლევითი დეპარტამენტის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2019 წლიდან მიმდინარეობს პერიოდული ტრენინგების ციკლი, რომლის ფარგლებში ლექტორები ეცნობიან სწავლის შედეგების შესაბამისად სწავლება-სწავლის და შეფასების ფორმების მისადაგებას, ქეისებზე და პრობლემებზე დაფუძნებულ სწავლებას, სტუდენტების მოტივაციის თანამედროვე მეთოდებს და ა.შ. აღნიშნული პროცესის დასრულება და შედეგების პირველადი შეფასება 2020 წლისათვის არის დაგეგმილი.

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. სეუ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებისათვის იყენებს შემდეგ პროცედურებს:

სწავლებისა და გამოცდების ფორმატზე სტუდენტების უკუკავშირის ლექტორებისთვის მიწოდების უწყვეტი სისტემის აწყობა. 2019 წლიდან სტუდენტების მიერ ხდება სასწავლო კურსის სწავლებით კმაყოფილების შეფასება, აღნიშნული მონაცემები გროვდება ელექტრონულად და მუშავდება უნივერსიტეტის მიერ, დანერგვის პროცესშია ლექტორებისთვის შეფასებათა გაცნობის და უკუკავშირის მიღების ელექტრონული სისტემისმდანერგვა.

პროგრამის უზრუნველყოფის ჯგუფთან შეხვედრაზე დადასტურდა, რომ სეუ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. უნივერსიტეტში ტარდება სამეცნიერო და სტუდენტური კონფერენციები (ხშირად გაერთიანებული) აკადემიურ პერსონალს ეძლევა მცირე გრანტები საკუთარი კვლევის საწარმოებლად (ინფორმაცია იხ. 2.4. სტანდარტში); გამოიცემა მათი წიგნები და საკონფერენციო მასალები; თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გასააქტიურებელია პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევებში მონაწილეობა. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელისშემწყობი მატერიალური და ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ბიუჯეტსა და უნივერსიტეტის ბიუჯეტში, ასევე სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ საურველია გააქტიურდეს სამეცნიერო კვლევით პროექტებში აკადემიური/ მოწვეული პერსონალის ჩართვა, მითუმეტეს რომ უნივერსიტეტის აკადემიური და ფინანსური რესურსი ამის სრულ შესაძლებლობას იძლევა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- სეუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები.
- სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი მექანიზმები;
- პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა;
- სეუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და ეფექტიანობის შეფასება
- კვლევის შედეგების გამოყენების მექანიზმი პერსონალის მართვასა და განვითარებაში;
- პროგრამაში ჩართული პირების სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები
- აკადემიური პერსონალის საქმიანობის (სწავლებისა და კვლევის ხარისხი) შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- უნივერსიტეტის ბიუჯეტი; სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტი;

ინტერვიუს შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკად/მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები: გააქტიურდეს სამეცნიერო კვლევით პროექტებში აკადემიური/ მოწვეული პერსონალის ჩართვა , მითუმეტეს რომ უნივერსიტეტი ამის სრულ შესაძლებლობას იძლევა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ადგილზე დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული

სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება: სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები; სტუდენტისა და აკადემიური პერსონალისთვის განკუთვნილი ბიბლიოთეკა; თანამედროვე სტანდარტების ორი სამკითხველო დარბაზი, აღჭურვილი კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, საბიბლიოთეკო ფონდებთან მკითხველის თავისუფალი დაშვებით, იზოლირებული შეხვედრების ოთახებით, საკონფერენციო ოთახით და ბიბლიოთეკარების სამუშაო სივრცით. საგამოცდო სივრცეებით.

ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურას. ასევე, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

კომპიუტერული ბაზა - კომპიუტერული კლასების კომპიუტერებში ჩატვირთულია ვინდოუსის საოფისე პროგრამები და ასევე ყველა ის პროგრამა, რომელიც მასალების დასამუშავებლად არის განსაზღვრული.

უნივერსიტეტისა და პროგრამის განსაკუთრებულ მდგენელს წამოადგენს მედია ლაბორატორია საკმაოდ კარგი ტექნიკური აღჭურვილობით: უახლესი აუდიო და ვიდეო აპარატურით, სამონტაჟო და ხმის ჩამწერი სტუდიით, ხმაურის დამხშობით და სხვა ტექნიკური საშუალებებით. რადიოსტუდია, ხმის ჩამწერი სტუდიები, ოთახები თათბირებისა და პრეზენტაციებისთვის, სამონტაჟო და ფოტო კაბინეტი პრაქტიკული დახელოვნებისთვის. მედიალაბორატორიის ტექნიკური რესურსი საშუალებას იძლევა, სტუდენტებმა იმუშაონ და ვებგვერდზე განათავსონ თავისი გაკეთებული მასალები. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის მედიალაბორატორია რამდენიმე მიმართულებას აერთიანებს. ესაა: ბეჭდური მედია, რადიო, ფოტო და სხვ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის მედია-ლაბორატორია თავისი ტექნიკური აღჭურვილობით
- საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის გაზეტში განთავსებული სტუდენტური მასალებით
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, ფოტოსტუდიის ხელმძღვანელთან
- ინტერვიუ სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება პროგრამის ბიუჯეტით. ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მუდმივ განახლებაზე, სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების მოწყობაზე, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ნაშრომების, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემა-დაბეჭდვაზე. უნივერსიტეტის ბიუჯეტში ასევე გათვალისწინებულია პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო მივლინებების,

პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა დაფინანსება საერთაშორისო ტრენინგებსა თუ კონფერენციებში. პროგრამის ფინანსური რესურსი მდგრადია და ამას უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ბიუჯეტი
მტკიცებულებები/ინდიკატორები ◦ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ◦ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ◦ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ◦ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	v			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც მიზნად ისახავს სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლებას, ხარისხის განვითარების შესაძლებლობების გაუმჯობესებას, მოქმედი სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დახვეწას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის საქმიანობა იგეგმება მუშაობის საერთო PDCA პრინციპების შესაბამისად, P (plan) - დაგეგმვა; D (do) განხორციელება; C (check) - შემოწმება; A (act) - რეაგირება. PDCA პრინციპების შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავის მხრივ განსაზღვრავს უნივერსიტეტის საქმიანობის შესამოწმებელ და შესაფასებელ ასპექტებს, შემოწმების თანამიმდევრობას, თავად ამოწმებს და შემოწმების მიზნით ქმნის შესაბამისი კომპეტენციების მქონე შემმოწმებელთა ჯგუფს, შემოწმების საფუძველზე აანალიზებს მიღებულ შედეგებს, შედეგების ანალიზის

საფუძველზე შეიმუშავენ რეკომენდაციებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და გაუმჯობესებისათვის. აღნიშნული მოიცავს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების სასწავლო კურსებით გაწერილი სასწავლო აქტივობების განხორციელების, მათი შინაარსისა და საჭირო მატერიალური რესურსის შემოწმებას, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების პერიოდულ მონიტორინგს, შესაბამისი ადამიანური რესურსის შეფასებასა და გაუმჯობესებას. ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. პროგრამაში ჩართული პერსონალი პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებს ხარისხის შეფასების შედეგებს; პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედეგაში ჩართულია როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➤ თვითშეფასების ანგარიში; ➤ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; ➤ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობა პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შემოწმებისა და რეაგირების ეტაპებზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2015 წელს და საანგარიშო პერიოდში სრულად იქნა გაზიარებული და გათვალისწინებულ აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციები. პროგრამა შესაბამისობაშია მოყვანილი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ახალ სტანდარტებთან და განახლებულ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ➤ თვითშეფასების ანგარიში ➤ გარე შეფასების შედეგები და განხორციელებული ცვლილებები ➤ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასაკმარისი ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით.

შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება პროგრამის მოდიფიცირება. ხარისხის სამსახურის სამსახურის მიერ, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, წინასწარ განსაზღვრული შეფასების ფორმის შესაბამისად ხორციელდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე დასწრების საშუალებით, რაც ემსახურება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. აღნიშნულის შესახებ სასწავლო წლის დასაწყისში ინფორმირებული არიან პროფესორ/მაწავლებლები. ხდება შეფასების შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების გაცნობა პროფესორ/მაწავლებლებისათვის.

სასწავლო კურსის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, ყოველი სემესტრის ბოლოს, სტუდენტები კითხვარების მეშვეობით აფასებენ სასწავლო კურსებს და კურსის ლექტორებს. ხდება შედეგების დამუშავება, რეკომენდაციების შემუშავება და საჭიროების შემთხვევაში სასწავლო კურსის სილაბუსის მოდიფიცირება.

ჟურნალისტიკის პროგრამის შემუშავებისას, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მოხდა დადარება საქართველოს და უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და გათვალისწინებულია საუკეთესო პრაქტიკა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

➤ თვითშეფასების ანგარიში; ➤ პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შედეგები და ამ შედეგების გამოყენება; ➤ სასწავლო კურსის შეფასების მიზნით განხორციელებული აქტივობები და ცვლილებები; ➤ სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვა; ○ ➤ პერსონალის CV-ები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის უცხოელ პარტნიორებთან პროგრამის დაახლოება და მათი კურსკულუმების შესწავლა არა მარტო დისტანციურად, არამედ უშუალო კონტაქტის მეშვეობითაც. დამსაქმებლებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება/ახალი მექანიზმების დანერგვა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს საქართველოს
ეროვნული უნივერსიტეტი სეუ


უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ჟურნალისტიკის საბაკალვრო
პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 47

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა


სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის




ლელა ფირალიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის



მალხაზ გაგუა



სოფიკო შარაბიძე